43
გ-836

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნანა ბექანის ასული ბოლქვაძე

# ექსპრესიულობის გაძლიერება გერმანული ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში

სპეციალობა 10.02.04 –
გერმანიკული ენები

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის რომანულ-გერმანიკული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სამსონ კარბელაშვილი

ექსპერტი: : ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაია ნათაძე

ოფიციალური ოპონენტები: 1.ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მანანა პაიჭაძე
2.ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნატა ჯანელიძე

წამყვანი ორგანიზაცია: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა შედგება "10" [illegible] 1999წ. 14 საათზე. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P10.02.C№6 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.1.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
ავტორეფერატი დაიგზავნა "4/10" 1999წ.

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ.წიბახაშვილი

- 144 -

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თანამედროვე გერმანულ ენაში ფრაზეოლოგიური ექსპრესიულობის გაძლიერების ფენომენი, მისი ფორმები და საშუალებები სათანადო სიღრმით არ არის გამოკვლეული.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი რამდენადმე ავსებს ამ ხარვეზს.

*თემის აქტუალობა.* (1) დისერტაცია პირველი ნაშრომია, რომელშიც გაძლიერების ფენომენი განხილულია ფრაზეოლოგიის დონეზე; (2) ნაჩვენებია, რომ ფრაზეოლოგიზმები მხოლოდ აუგმენტაციის სფეროში ექვემდებარებიან გაძლიერებას. ამასთან, ტერმინი "აუგმენტაცია" გამოყენებულია ფართო მნიშვნელობით, კერძოდ სფეროს, პლასტის[1] გაგებით, (3) აუგმენტაცია იმიჯნება გაძლიერების, ინტენსიფიკაციის და ხარისხის გრადაციისაგან.

*ნაშრომი მიზნად* ისახავს გამოიკვლიოს გერმანულ ენაში ფრაზეოლოგიზმთა ექსპრესიულობის გაძლიერების ფორმები და საშუალებები. თემის დამუშავებისას გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები: (1) შემუშავდეს თეორია, რომელიც ხელს შეუწყობს ფრაზეოლოგიზმების გამოცალკევებას მყარ შესიტყვებებისაგან, რაც დასაბუთებულად განაპირობებს ფრაზეოლოგიის საზღვრებისა და ფრაზეოლოგიის სემანტიკური ბირთვის შემოფარგვლას; (2) განხილულ იქნეს სინონიმური ფრაზეოლოგიზმების რაობა და სახეები, მათი როლი ექსპრესიულობის გაძლიერებაში, გამოიკვეთოს სხვაობა ფრაზეოლოგიურ სინონიმებსა და ფრაზეოლოგიურ ვარიანტებს შორის. (3) ჩამოყალიბდეს ფრაზეოლოგიზმთა სინონიმური რიგების შედგენის პრინციპები, მათი იერარქიულ კიბეზე განაწილების მიზნით; ხაზი გაესვას აუგმენტაციის, როგორც პლასტის მნიშვნელობას ფრაზეოლოგიურ სინონიმთა ექსპრესიულობის გაძლიერებაში.

*ნაშრომის მეცნიერული სიახლე.* კვლევა განხორციელებულია ექსპრესიულობის სიძლიერის მიხედვით იერარქიულ კიბეზე ფრაზეოლოგიზმების განაწილებით ორ ასპექტში: - სემანტიკურსა და სტილისტურში; (2) შესაბამისად აგებულია ფრაზეოლოგიური სინონიმების სემანტიკური და სტილისტური მოდელები; (3) შემუშავებულია ფრაზეოლოგიზმთა ემოციურ-შეფასებითი ექსპრესიულობის გაძლიერების ტიპოლოგია; (4) ფრაზეოლოგიური სინონიმები განაწილებულია იერარქიულ კიბეზე ექსპრესიულობის სიძლიერის მიხედვით, რითაც საფუძველი ეყრება გერმანული ენის ფრაზეოლოგიზმების სინონიმური ლექსიკონის შედგენას.

*საკვლევ მასალას წარმოადგენს* ფრაზეოლოგიური ერთეულები (სულ 1200-მდე), რომლებიც აღებულია როგორც

---

[1] "აუგმენტაციის სფეროში" ჩვენ გვესმის უკვე აუგმენტირებულ ერთეულთა პლასტი.